საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/72 "18" ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ბ. შონიას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 5 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. ინიცირების ფარგლებში 2022 წლის 12 ივლისს მიღებულ იქნა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას განცხადება.

ბადრი შონიას აქვს მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, მათ შორის აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. იგი იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე სხვადასხვა დროს მას დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 25 ივლისიდან:

1. ბადრი შონია დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბ. შონიასათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/52 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე